

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 11

ქ. თელავი

16.07.2019 წელი

თავმჯდომარეობდა: დ. გოგოშვილი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტ. დარეჯანიშვილი; ლ. მრელაშვილი; ა. შათირიშვილი; ნ. ხვისტანი; ა. მახარიაშვილი;

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გ. ორკოდაშვილი; დეპუტატი: ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე - გ. ჩაბრაშვილი. საკრებულოს აპარატის უფროსი - ტ. გალახვარიძე. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - ლ. ფარსადანიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ნ. ვაყელიშვილი; მოქალაქე - მ. მოსიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

მოისმინეს: 1 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვა: დ. გოგოშვილმა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - ნ. ვაყელიშვილს;

მან აღნიშნა, რომ პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში „კისისხევის ხევის“ და „თურდოს ხევის“ კალაპოტების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნის მიზნით ცვლილების განხორციელებას. აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 02 ივლისის N1508 განკარგულებით, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და საქართველოს მთავრობის 02 ივლისის N1510 განკარგულებით, „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 15 მარტის N554 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გამოყოფილი თანხების დაზუსტებას. აქედან გამომდინარე ბიუჯეტი განისაზღვროს 35 498,35 ათ. ლარის ოდენობით.

გადაწყვეტეს: კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე



დ. გოგოშვილი